პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
--- დეკემბერი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, გელა ოჩიაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, გურამ სოლოღაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, გელა ოჩიაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, გურამ სოლოღაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

X=484667 Y=4629076
1:3,000
გურამ სოლოდაშვილის ქ.
X=484647 Y=4628724
I ხიხი
X=484744 Y=4628668
X=484604 Y=4628645

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

02 / დეკემბერი / 2025 წ.

KA011718018781225

№ **273751**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ 2025 წლის 23 სექტემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტოს") წარედგინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს № 01/229957 წერილი (სააგენტოს დოკუმენტბრუნვის პროგრამაში რეგისტრაციის ნომერი № 253659/17), თანდართული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 სექტემბრის N453 განკარგულებით, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთისთვის გელა ოჩიაურის სახელის მინიჭების შესახებ.

აღნიშნული წარმოების ფარგლებში მონაცემების შესწავლისას დადგინდა, რომ გელა ოჩიაურის ქუჩის მიმდებარედ დარჩენილია უსახელო მონაკვეთები (იხ. დანართი).

მოგეხსენებათ, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სააგენტოს უფლებამოსილებას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამისამართო ობიექტების (მიწის ნაკვეთი, შენობა/ნაგებობა) ნუმერაცია, ისევე, როგორც სამისამართო რეესტრის წარმოება. ამასთან, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ნომრის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამისამართო ობიექტი განთავსებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სახელდებული ქუჩის მიმდებარედ.

„საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით". აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სიტუაციური ნახაზი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-0325349100**
თარიღი: **15/12/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2025 წლის 02 დეკემბრის საქმე #06-032533671-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია გლდანის რაიონში, გელა ოჩიაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ გლდანულაში, უსახელო ქუჩის სიტუაციური ნახაზები დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01253503865**
თარიღი: **16/12/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 15.12.2025 წლის # 03-0325349100 (15.12.2025წ. #14-01253493537-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ. თბილისის საკრებულოს სახელდებების და სიმ-ბოლოების კომისიის თავ-მჯდომარეს ბ-ნ ლევან აბაშიძეს.

19/03242 8947-03.

მოქ. ტიხოველიშვილი
პ/ნ 01024064733

ქ. თბილისის ბუდაპეშტის 1 შესახვე-ვის მცხოვრებთა თხოვნა.

გთხოვთ ბუდაპეშტის 1 შესახვევს შეუცვალოთ სახელი და დაერქვას ვახტანგ გორგასლის ორდენის კა-ვალერის, ამავე ქუჩაში მცხოვრე-ბლის, გურამ სოლოღაშვილის სახელი.

ბ. [signature] (ტიხოველიშვილი)
დ. [signature] (დ. ნემსიაშვილი)
ნ. [signature] (ნ. ჩალიგავა)
ტ. [signature] (სოთირიშვილი)
ნ. [signature] (თეო ნემსაძე)

ი. [signature] (ირაკლი ნემსიაშვილი)
ლ. [signature] (ლილი ალადაშვილი)
ა. [signature] (ანა მაჭარაშვილი)
დ. [signature] (დავით ზაქარია)
მ. [signature] (მ. ცქიტიშვილი)

СВИДЕТЕЛЬСТВО О СМЕРТИ
გარდაცვალების მოწმობა

Гражданин (ка) / მოქალაქე — фамилия — გვარი: [illegible]

имя, отчество — სახელი, მამის სახელი: [illegible]

умер (ла) / გარდაიცვალა — число, месяц, год — რიცხვი, თვე, წელი: 09 07 93 [illegible]

(цифрами и прописью — ციფრებით და სიტყვებით): [illegible]

в возрасте 34 лет, о чем в книге регистрации актов о смерти
წლის ასაკში, რაზეც გარდაცვალების აქტების სარეგისტრაციო წიგნში

19 93 года / წელს 07 месяца / თვეს 12 числа / რიცხვს

произведена запись за / მოხდენილია ჩაწერა № 7051

Причина смерти / გარდაცვალების მიზეზი: [illegible]

Место смерти: город, селение / გარდაცვალების ადგილი: ქალაქი, სოფელი: [illegible]

район / რაიონი: [illegible]

область, край / ოლქი, მხარე: [illegible]

республика / რესპუბლიკა: [illegible]

Место регистрации / რეგისტრაციის ადგილი — наименование и местонахождение органа ЗАГСа — მმაჩის ორგანოს დასახელება და ადგილსამყოფელი

Дата выдачи / გაცემის თარიღი „12" 07 1993 г. / წ.

М.П. / ადგ.

Заведующий отделом (бюро) записи актов гражданского состояния
მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილების (ბიუროს) გამგე

IV-ТИ № 304746

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032430350**
თარიღი: **29/10/2024**

ადრესატი: სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური
მისამართი: გიორგი გურამიშვილის ქ. #12 ა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ განიხილა მოქალაქე გ. ქართველიშვილის 2024 წლის 15 ოქტომბრის #19/032428947-03 განცხადება, რომლითაც ითხოვს ბუდაპეშტის I შესახვევისთვის ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერის გურამ სოლოღაშვილის სახელის მინიჭებას.

მოგმართავთ თხოვნით, გაგვაცნოთ თქვენი პოზიცია ხსენებულ სახელდებასთან დაკავშირებით, ასევე მოგვაწოდოთ ინფორმაცია გურამ სოლოღაშვილის საბრძოლო მოკვლევისა და ჯილდოების (მათი არსებობის შემთხვევაში) შესახებ.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ცნობა

№ [illegible]

ეძლევა ბ-ნ გურამ [illegible] ძე [illegible] მცხოვრებს ქ. თბილისი [illegible] 2 შეს. [illegible]

მასზედ, რომ 1993 წლის 20 [illegible] -დან 1993 წლის 9 [illegible] -მდე მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში, გათანაბრებული არის დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან და სარგებლობს საქართველოს კანონის „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ", მუხლი 15-ით განსაზღვრული შეღავათებით.

საფუძველი საქ. თავ. დაცვის მინისტრის ბრძ. №1894 17.04.2003წ.

ცნობა გაიცა მოთხოვნის ადგილზე წარსადგენად.

კადრების მთავარი სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი

დ. ლეჟავა

ადმინისტრაციულ და სოციალურ საკითხთა სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი

თ. ბარკალაია

23.04.03წ.

სსიპ
ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახური
საქართველო, თბილისი, ორთაჭალა, გიორგი გურამიშვილის ქუჩა N12ა.
ტელ: (+995 32) 248 16 26, ელ-ფოსტა: info@veterans.gov.ge

LEPL
State Service of
Veterans Affairs
12A GIORGI GURAMISHVILI STR. ORTACHALA TBILISI, GEORGIA
Tel: (+995 32) 248 16 26, E-mail: info@veterans.gov.ge

SSVA 00038186

04/11/2024

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში შემოსული თქვენი 2024 წლის 29 ოქტომბრის №03-032430350 წერილის (სამსახურში რეგისტრაციის №37780) პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში არსებული ბუდაპეშტის I შესახვევისთვის გურამ სოლოღაშვილის სახელის მინიჭებას, გაცნობებთ შემდეგს:

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში დაცული ინფორმაციის თანახმად, ლეიტენანტი გურამ დავითის ძე სოლოღაშვილი ეროვნული გვარდიის სატანკო ბატალიონის შემადგენლობიდან ნამდვილად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში აფხაზეთის რეგიონში და გმირულად დაიღუპა საბრძოლო მოქმედებებში, 1993 წლის 9 ივლისს, ტამიშში.

სამშობლოს წინაშე გურამ სოლოღაშვილის დამსახურების გათვალისწინებით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური მხარს უჭერს თბილისში არსებული რომელიმე გეოგრაფიული ობიექტისთვის მისი სახელის მინიჭებას.

დანართი: 4 ფურცელი.

პატივისცემით,

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დირექტორი
გენერალ-მაიორი
კობა კობალაძე

...ᲜᲒ ᲒᲝᲠᲒᲐᲡᲚᲘᲡ
...ᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ



...0090

[illegible]
(სახელი)

[illegible]
(გვარი)

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წ. „26" XII ბრძანებულებით დაჯილდოვდა

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲝᲠᲒᲐᲡᲚᲘᲡ
II ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ

№ 00185

საქართველოს სახელმწიფოს
მეთაური

107

საბრძოლო მოკვლევა

უფროსი ლეიტენანტი გურამ დავითის ძე სოლოლაშვილი მსახურობ ერთვწული გვარდიის სატანკო ბატალიონში კავშირგაბმულობის სამსახურის უფროსის თანაშემწედ 1993 წლის 20 აპრილიდან. მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა ბრძოლებში აფხაზეთის რეგიონში. დაიღუპა 1993 წლის 9 ივლისს აფხაზეთში, კერძოდ ტამიშში საომარი მოქმედების დროს.

გვარდიის მთავარი სამმართველოს
უფროსის პირველი მოადგილე
პოლკოვნიკი ზ. რუსაძე

სატანკო-მექანიზირებული ბატალიონის
მეთაური, პოლკოვნიკი გ. მიგრიაული

№ 1 მმ ბრიგადის ზურგის სამსახურის
უფროსის მოადგილე
პოლკოვნიკი დ. ჭანტურია

საბრძოლო მოკვლევის სისწორეს ვადასტურებ:

№ 1 მმ ბრიგადის გაერთიანებული
შტაბის უფროსი
პოლკოვნიკი რ. ჩაკვეტაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032505135**
თარიღი: **20/02/2025**

ადრესატი: გელა ქართველიშვილი
პირადი ნომერი: 01024064733
მისამართი: თბილისი ბუდაპეშტის I შეს. N 18

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ განიხილა თქვენი 2024 წლის 15 ოქტომბრის საქმე N19/032428947-03, რომლითაც ითხოვთ ბუდაპეშტის I შესახვევს დაერქვას ქურამ სოლოღაშვილის სახელი.

გაცნობებთ, რომ საქმისწარმოების პროცესში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ, გურამ სოლოღაშვილის მოღვაწეობასთან დაკავშირებით ინფორმაცია მოძიებული იქნა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში (06-03243102-03), სახელდების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით. ასევე, დამუშავდა ბუდაპეშტის I შესახვევის ქალაქგეგმარებითი პარამეტრები. როგორც დგინდება, ხსენებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ აქვს პირდაპირი კავშირი მოსაზღვრე ობიექტთან - ზემო ვეძისის II ჩიხთან, და წარმოადგენს ერთგვარ "ჩაკეტილ" ტერიტორიას.

კომისიას ქალაქგეგმარებითი პარამეტრების გათვალისწინებით, მიზანშეუწონლად მიაჩნია შესახვევის ქუჩად ჩამოყალიბება და მისთვის გურამ სოლოღაშვილის სახელის მინიჭება. თქვენი მხრიდან მზაობის დაფიქსირების შემთხვევაში, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მზად იქნება თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების მასშტაბით შეარჩიოს ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტი და იმსჯელოს მისთვის გურამ სოლოღაშვილის სახელის მინიჭებაზე.

გიგზავნით ვეტერანების სახელმწიფო სამსახურის წერილს, რომლითაც მხარს უჭერენ თბილისის ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის გურამ სოლოღაშვილის სახელის მინიჭებას.

დანართი: 2 (ორი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

19/032505989-03.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

თავმჯდომარეს ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მოქ: ვაჟა ქარაულაშვილი

მცხ: ქ. თბილისი ბუდაპეშტის IX 18

ტელ: 599 133 512

პ.ნ: 01024064733

განცხადება

თანახმა ვარ ქუჩას სოლოლაშვილის სახელი მიენიჭოს ლევოვის შესახვევს. ან ნება სოფელიდა ქუჩის ან იზიეთს.

პატივ. ვაჟა ქარაულაშვილი

28. II. 2025



გურამ სოლოღაშვილი

(1959-1993)

აფხაზეთში დაღუპული მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი

გურამ სოლოღაშვილი დაიბადა 1959 წლის 9 მარტს ქ. თბილისში.დაამთავრა 123-ე საშუალო სკოლა. სავალდებულო სამხედრო სამსახური გაიარა უკრაინაში. სახლში დაბრუნების შემდეგ სწავლა განაგრძო კვების მრეწველობის ტექნიკუმში. მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციაში.ჰყავდა ოჯახი.

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ჩაირიცხა საქართველოს ეროვნული გვარდიის რიგებში. დაინიშნა სატანკო ბატალიონის კავშირგაბმულობის სამსახურის უფროსის თანაშემწედ.

დაიღუპა 1993 წლის 9 ივლისს, ოჩამჩირის რაიონ სოფელ ტამიდთან ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი აფხაზეთის ომში.

კაპიტანი გურამ დავითის ძე სოლოღაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.